

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო და სარევიზიო
საკითხთა კომისიის სხდომის

ოქმი N12

ქ. ზუგდიდი

3 ოქტომბერი 2019 წელი

13:00 სთ

2019 წლის 3 ოქტომბერს შედგა ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო და სარევიზიო საკითხთა კომისიის სხდომა.

სხდომას ესწრებოდნენ: დავით გახარია, ირაკლი ლაგვილავა, მიხეილ ჯობავა, ზაზა პროკოპენკო, დაზმირ ძიმციეშვილი, ბათლომე შელია, სალომე ფაცაცია, პაატა ადამია.

სხდომას არ ესწრებოდნენ: გიორგი თოდუა, ირაკლი ღურჭკაია, ანა წითლიძე.

სხდომას ასევე ესწრებოდნენ: ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი- ლექსო თოდუა;

სხდომის მდივანი: ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მატერიალურ საკითხთა განყოფილების მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ნინო ჩახაია.

სხდომის დაწყებამდე კომისიის წევრებმა გაიარეს რეგისტრაცია, რეგისტრაციის გავლის მიხედვით სხდომას ესწრებოდა კომისიის 11 წევრიდან 8 წევრი. სხდომას თავმჯდომარეობდა ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო და სარევიზიო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე. სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო სხდომის

დღის წესრიგი:

1. „ზუგდიდის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების თაობაზე“ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 31 დეკემბრის N100 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ;

მომხსენებელი: დ. გახარია - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო და სარევიზიო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე;

თანამომხსენებელი: ლ. თოდუა - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი;

2. სხვადასხვა საკითხები;

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა კომისიის წევრებს კენჭი ეყაროს დღის წესრიგს წარმოდგენილი რედაქციით.

კომისიის წევრებმა ერთხმად დაამტკიცეს სხდომის დღის წესრიგი (მომხრე-8; წინააღმდეგი-0) და კომისიამ განაგრძო მუშაობა წარმოდგენილი დღის წესრიგის შესაბამისად.

მოისმინეს: დღის წესრიგით გათვალისწინებულ პირველ საკითხთან დაკავშირებით ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო და სარევიზიო საკითხთა კომისიის თავმჯდომარის დ. გახარიას ინფორმაცია. მან აღნიშნა, რომ მიმდინარე წლის 2 ოქტომბერს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოში შემოვიდა ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის N 02/12151 მომართვა (სარეგისტრაციო ნომრით: 790/03 3.10.2019 წ.), რომლითაც წარმოდგენილი იყო წინადადებები „ზუგდიდის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების თაობაზე“ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 31 დეკემბრის N100 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ;

კერძოდ,

საქართველოს მთავრობის 2019 წლის 10 ივლისის N1593 და 2019 წლის 21 აგვისტოს N1869 განკარგულებებით „ჯანმრთელობის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის ხელშეწყობის მიზნით საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის N554 განკარგულებაში შევიდა ცვლილება და ზუგდიდის მუნიციპალიტეტს დამატებით გამოეყო სულ 64151 (სამოცდაოთხი ათას ას ორმოცდათერთმეტი) ლარი, მათ შორის:

2019 წლის 10 ივლისის N 1593 განკარგულებით გამოეყო ჩხორის ადმინისტრაციულ ერთეულში ამბულატორიის რეაბილიტაციისათვის 39912 ლარი, ხოლო 21 აგვისტოს N 1869 განკარგულებით - აბასთუმნის ადმინისტრაციულ ერთეულში ამბულატორიის რეაბილიტაციისათვის 24239 ლარი / პროგრამული კოდი 03 16/.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ზუგდიდის მუნიციპალიტეტის დამტკიცებული ბიუჯეტის შემოსულობები უნდა განისაზღვროს 64665,0 ათასი ლარით, ნაცვლად ადრე დამტკიცებული 64600,9 ათასი ლარისა, ხოლო გადასახდელების ნაწილი - 68597,5 ათასი ლარით, ნაცვლად ადრე დამტკიცებული 68533,4 ათასი ლარისა. ამასთან სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხების მოცულობა განისაზღვროს 27439,5 ლარით, ნაცვლად ადრე დამტკიცებული 27375,4 ლარისა.

კომისიის თავმჯდომარემ მიმართა კომისიის წევრებს გამოთქვან თავიანთი მოსაზრებები აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არ გამოთქმულა.

დაადგინეს: საკითხი გატანილ იქნას საკრებულოს ბიუროზე, შემდგომში საკრებულოს სხდომაზე განსახილველად (მომხრე-8; წინააღმდეგი-0).

კომისიის თავმჯდომარემ მიმართა კომისიის წევრებს გამოთქვან თავიანთი მოსაზრებები სხვადასხვა საკითხთან დაკავშირებით.

სხვადასხვა საკითხთან დაკავშირებით განსხვავებული აზრი არ გამოთქმულა.

ამით დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხი განხილულ იქნა. სხდომა გამოცხადდა დახურულად.

დ. გახარია



ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო და სარევიზიო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე;